პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრის ოქმი: 7

პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრა გაიმართა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2017 წლის 17 იანვარს, 15:00 სთ.

ამოცანები:

- გარდამავალი გეგმის, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს და ბიუჯეტის საბოლოო ვერსიის განხილვა;
- გარდამავალი გეგმისთვის პასკ–ის საბოლოო რეკომენდაციის გაწევა ქსს–ს დასამტკიცებლად.

ესწრებოდნენ:

ნინო ბერძული	პასკ–ის თავმჯდომარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მოადგილე
ირმა ხონელიძე	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე
ქეთევან ჩხატარაშვილი	საერთაშორისო ფონდი კურაციო, პრეზიდენტი
მზია ტაბატაძე	საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი აივ–ის საკითხებში
თეა ჯიბუტი	საერთაშორისო ფონდი კურაციო, ექსპერტი ტუბერკულოზის საკითხებში
ირინე ჯავახაძე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საბიუჯეტო დეპარტამენტის სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის ფორმირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
უჩა ნანავა	ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი
ნინო ბადრიძე	ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის ეპიდემიოლოგიური განყოფილების გამგე
ლაშა თვალიაშვილი	აივ-ინფცირებულთა თემის წარმომადგენელი
მაია წერეთელი	ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
გიორგი კუჭუხიძე	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი
ქეთევან სტვილია	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების

	განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მენეჯერი
მაკა დანელია	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტუბერკულოზის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი
ირაკლი კაციტაძე	გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის ადგილობრივი ფინანსური აგენტი
ნანა ნაგახტეველი	გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის ადგილობრივი ფინანსური აგენტი
ელისო გიჭაშვილი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი
ციცი სურამელი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტი
დავით კახაბერი	ლგბტ საქართველო
ნატალია ზაქარეიშვილი	გაეროს აივ/შიდსის თემატური ჯგუფი - გაეროს მოსახლეობის ფონდის პროგრამების ანალიტიკოსი
ანა ჩაგარიძე	თბილისის მერია, ჯანდაცვის პროგრამების დეპარტამენტი
თამარ ბოცვაძე	MdM, ადვოკატირების ოფიცერი
ნატალია გორდეზიანი	საერთაშორისო ფონდი კურაციო
ირინა გრძელიძე	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
ნათია ხონელიძე	ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი
თამარ ზურაშვილი	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

შეხვედრა გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ, ქ-მნა ნინო ბერძულმა, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო შეხვედრის მიზნები. მან ხაზი გაუსვრა შეხვედრის მნიშნველობას გამომდინარე იქიდან, რომ შეხვედრის შემდეგ გარდამავალი გეგმა საბოლოო დოკუმენტის სახით უნდა წარედგინოს ქსს–ს, შესთავაზა ჯგუფის წევრებს მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს დეტალური განხილვა აქტივობების მიხედვით და მოუწოდა მათ დისკუსიის პროცესში აქტიური ჩართულობისკენ. ჯგუფის წევრები დასთანხმდნენ აღნიშნული ფორმატით მუშაობას.

ქ–ნმა ქეთევან ჩხატარაშვილმა დაიწყო გარდამავალი გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს თითოეული ამოცანის დეტალური განხილვა შესაბამისი აქტივობებისთვის განსაღვრული ინდიკატორების, სავარაუდო ბიუჯეტის და პასუხისმგებელი პირის/ების მიხედვით, რასაც მოჰყვა აქტიური დისკუსია ჯგუფში და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, გეგმის აქტივობებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და

რეკომენდაციის გაწევა და ზოგიერთი აქტივობის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

- პირველი საკითხი, რომლის ირგვლივაც გაიმართა დისკუსია იყო აქტივობა *1.1.1.2. პოლიტიკური ინტერვენციების მონიტორინგი და ხელშეწყობა, რათა აღმოფხვრილ იქნას საკანონმდებლო ბარიერები აივ პრევენციის და ზიანის შემცირების სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით როგორც სამოქალაქო, ასევე სასჯელაღსრულების სექტორში,* კონკრეტული ინდიკატორებით ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით – ქ–ნმა ნინო ბერძულმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი გეგმაში უფრო დეტალიზებულია სხვა საკითხებთან შედარებით და ჯგუფს შესთავაზა მისი გადახედვა და უფრო ზოგად ფორმულირებაზე შეთანხმება. ქ–ნი ირმა ხონელიძე დაეთანხმა ქ–ნი ნინოს მოსაზრებას. ქ–ნმა მზია ტაბატაძემ გამოთქვა მოსაზრება შემდეგ ფორმულირებასთან დაკავშირებით: (1) ცვლილებების რაოდენობა სისხლის სამართის კოდექსში, ადმინისტრაციულ კოდში და ზოგად კანონში ოდენობების შესახებ ან (2) უფრო ზოგადი ფორმულირება – განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების რაოდენობა. ჯგუფში გამართული აქტიური განხილვის შედეგად გადაწყდა მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოში ინდიკატორის შეცვლა ფორმულირების პირველი ვარიანტის მიხედვით.
- შემდეგი განხილვის საკითხი გახდა აქტოვობა 1.1.2.1. *განხილულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი და შესაბამისი რეგულაციები, რათა გამოვლინდეს პოტენციური ბარიერები სამოქალაქო საზოგადოების დაკონტრაქტებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით აივ და ტუბერკულოზის სერვისების გაწევის მიზნით.* აღნიშნული აქტივობის ინდიკატორის – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და შესაბამისი რეგულაციების განხილვა და სოციალური კონტრაქტირების ზოგადი ბარიერების განსაზღვრა – შემთხვევაში ქ–ნმა ირმა ხონელიძემ გამოყო ორი სხვადასხვა საკითხი: (1) სოციალური კონტრაქტირების შემოღება საქართველოში და (2) არსებული კანონის შეფასება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობისთვის ოპერაციული სახელმძღვანელოს შემუშავება. ქ–ნი ირმას აზრით ეს საკითხი მოითხოვს უფრო ნათელ ფორმულირებას. ქ–ნმა ქეთევან ჩხატარაშვილმა განმარტა რომ აქტივობა გულისხმობს არსებული კანონისა და რეგულაციების გადახედვას და სათემო ორგანიზაციების კონტრაქტირების ბარიერების (არსებობის შემთხვევაში) გამოვლენას აივ/ტბ სერვისების მიწოდების პროცესში სახელმწიფო დაფინანსების პირობებში; და გამოყო მეორე საკითხი – არსებული კანონის გადახედვის შედეგად გამოვლენილი ბარიერების/გამოწვევების შესაბამისად გაკეთდეს ოპერაციული სახელმძღვანელო რაც გაუადვილებს არასამთავრობო სექტორს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობას. ქ–ნმა ქეთევანმა აღნიშნა რომ მოხდება აქტივობისა და შესაბამისი ინდიკატორის ფორმულირების გადახედვა და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება, თუ რომელი აქტივობა რას გულისხმობს. ქ–ნი ნინო ბერძულის შემოთავაზებით

შეცვლილი ფორმულირების გაზიარება მოხდება ელექტრონულად. გარდა ამისა, ქ–ნი ირმა ხონელიძის შემოთავაზებით უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების / სათემო ორგანიზაციების ტერმინების განმარტების შემუშავება.

- აქტიური დისკუსიის შემდეგ ქ. ნინო ბერძულის შემოთავაზებით აქტივობა 2.2.2.2.1. *ადამიანური რესურსების პოლიტიკის (პროფესიული კომპეტენციები/კვალიფიკაციის ჩარჩო, კურსის აკრედიტაცია, სერტიფიცირება) შემუშავება ტუბერკულოზის დარგში დასაქმებული პერსონალისთვის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების არა-სამედიცინო პერსონალის და ასევე პირველადი ჯანდაცვის მედპერსონალისათვის* – შემთხვევაში უნდა მოხდეს კონკრეტული განსაზღვრა თუ რა ტიპის არა–სამედიცინო პერსონალზეა საუბარი, რომლების არასამთავრობო სექრორში არიან დასაქმებული.
- ერთ–ერთი მნიშვნელოვანი განხილვის საკითხი, რომელიც ქ–ნმა ირმა ხონელიძემ დააყენა დღის წესრიგში იყო გეგმის განხორციელების პროცესში პასუხისმგებელი მხარეების განსაზღვრა, სადაც გეგმის მიხედვით ძალიან დიდი წილი მოდის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრზე. ქ–ნმა ირმამ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მოცემული ინტერსექტორული ხასიათის გეგმის შემთხვევაში არ შეიძლება პასუხისმგებლობა გადატანილი იყოს ერთ ორგანიზაციაზე და უნდა მოხდეს პასუხისმგებლობების გადანაწილება შესაბამის მხარეებზე. გამართული დისკუსიის შედეგად გადაწყდა პასუხისმგებლობების ნაწილში გამოიყოს ორი პუნქტი (1) დაფინანსების წყარო და (2) ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარე ვინც ამ პროცესში მიიღებს მონაწილეობას და გადაინაწილებს პასუხისმგებლობებს. კურაციოს კონსულტანტთა ჯგუფი შეიმუშავებს აღნიშნულ ცვლილებებს, რომელიც გადაეგზავნება პასკ–ის წევრებს შემდგომი კომენტარებისთვის.

შეხვედრის დასკვნით ნაწილში ქ–ნმა ნინო ბერძულმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე გამოთქმული კომენტარების ინტეგრირება უნდა მოხდეს დოკუმენტში და ჩასწორებული დოკუმენტი კიდევ ერთხელ დაცირკულირდეს პასკ–ში ელექტრონულად. ჩასწორებულ გეგმასთან დაკავშირებით კომენტარების არსებობის შემთხვევაში წევრები 1 დღის ვადაში წარადგენენ თავიანთ შეხედულებებს, რის შემდეგაც მოხდება დოკუმენტის საბოლოო წარდეგნა ქსს–ში. ქ-ნმა ნინო ბერძულმა შეაჯამა შეხვედრა და მადლობა გადაუხადა მონაწილეებს.

გადაწყდა:

- შეხვედრის პროცეში მიღებული კომენტარების საბოლოო დოკუმენტში ინტეგრირების პირობით პოლიტიკისა და ადვოკატირების საკონსულტაციო კომიტეტი ამტკიცებს გარდამავალი გეგმის საბოლოო დოკუმენტს და რეკომენდაციას უწევს ქსს–ს დასამტკიცებლად.
- მიმდინარე წლის 20 იანვარს, დღის 12 სთ–მდე საერთაშორისო ფონდ კურაციოს საკონსულტაციო ჯგუფი წარმოადგენს დოკუმენტის შესწორებულ ვერსიას, რომელიც დაცირკულირდება პასკ–ში წევრების მიერ საბოლოოდ განსახილველად;

- მიმდინარე წლის 23 იანვარს, 12 სთ–მდე პასკ–ის წევრები წარმოადგენენ კომენტარებს არსებობის შემთხვევაში, რის შემდეგაც ისინი რეკომენდაციას გაუწევენ საბოლოო დოკუმენტს ქსს–ს დასამტკიცებლად.

ოქმის შემდგენელი – თამარ ზურაშვილი

პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი

ნინო ბერძული	თამარ ზურაშვილი
პასკ–ის თავმჯდომარე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე	პოლიტიკის და ადვოკატირების სპეციალისტი